თბილისის უნივერსიტეტი

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტისა და პროფკომის ორგანო

ТБИЛИСИС УНИВЕРСИТЕТИ — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ и профкома ордена Трудового Красного Знамени Тбилисского государственного университета

№ 3 (943)
პარასკევი,
19 იანვარი, 1973 წ.
გამოცემის 41-ე წელი
ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმატებით დავამთავროთ გამთრის საგამოცდო სესია!

ყველაზე უფრო ვინ დაგვამახსოვრდათ?

ამ კითხვაზე უპასუხებენ:

პროფ. ალ. ნოღაიდელი:

— მეოთხეკურსელ ქიმიკოსებს დღეს აქვთ გამოცდა მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმიაში. უკვე გამოვცადე 16 სტუდენტი. იაკობ წიწუაშვილმა, ეფემ ბეკერმა, ოლღა ჭიქიამ, გიორგი ფირცხალავამ და ნუნუ ბიჭიკაშვილმა ფრიადები მიიღეს, ხოლო ლალი ჯმუხაძემ და მარინე მჭედლიშვილმა — კარგები.

ფრიადოსნებმა ამომწურავად უპასუხეს ბილეთის საკითხებზე და დამატებით კითხვებზეც.

დოც. ვლადიმერ ბალაბანოვი:

— ეს მეორე გამოცდაა ამ სესიაზე. ადრე გამოვცადე ფიზიკის ფაკულტეტის რუსული განყოფილების პირველი კურსის 327-ე ჯგუფი მათემატიკურ ანალიზში. შედეგები ასეთია: სულ ჯგუფში არის 19 სტუდენტი, აქედან გამოცდაზე გამოვიდა 18. ფრიადი მიიღო ოთხმა: ნატალია მანჯავიძემ, მერაბ მენაბდემ, ანჯელა ტუმარიანმა, ფილიპე ულანოვსკიმ, კარგი — ექვსმა, დამაკმაყოფილებელი — ხუთმა, ხოლო სამმა „ორიანი“ დაიმსახურა.

როცა თვრამეტი სტუდენტიდან ათი იმსახურებს „ხუთებსა“ და „ოთხებს“, ვფიქრობ, ეს კარგი შედეგია.

დღეს ვცდი პირველი კურსის 326-ე ჯგუფს. 8 სტუდენტი გამოვცადე და ორი ფრიადი, ოთხი „ოთხი“ და ორი „სამიანი“- დავწერე. ფრიადები მიიღეს ვერა დონინამ და ალექსანდრე ლობაჩევმა.

დოც. ზურაბ მიქელაძე:

— ლოგიკაში ვცდი ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ფილოსოფიის სპეციალობის მეორეკურსელებს. გამოტეხილად უნდა ვთქვა, რომ სტუდენტთა ერთი ნაწილის მომზადებით კმაყოფილი არა ვარ. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ახალგაზრდებს აკლიათ ზოგადი განათლება, რომელიც, რა თქმა უნდა, საშუალო სკოლაშივე უნდა მიეღოთ.

დღეს გამოცდის მეორე დღე გახლავთ, გამოვცადე 22 სტუდენტი, რომელთაგან ცხრამ სრული მოუმზადებლობა გამოავლინა. ვფიქრობ, ეს მათი სიზარმაცის ანდა ზოგადი განათლების უკმარობის ბრალია, რაზეც წეღან მოგახსენეთ.

დანარჩენი 13 სტუდენტიდან სამმა ფრიადი მიიღო, სამმა — კარგი და შვიდმა დამაკმაყოფილებელი.

ფრიადების „ავტორები“ არიან თეიმურაზ კალანდაძე, გიორგი ნოდია, ავთანდილ ჯობაძე; კარგებისა — მურად შონია, თეიმურაზ ბარბაქაძე, აკაკი კობაძე.

ახლა ორიოდე სიტყვა გამოცდის შედეგების ანალიზის შესახებ. ჩვენთან გამოცდის ფორმა ისეთია, რომ სტუდენტების პასუხებს (ჩანაწერებს) ვიტოვებთ, რომ შემდეგ ისინი კათედრაზე განვიხილოთ, ვიმსჯელოთ მათ შესახებ. ეს იმიტომაც არის საჭირო, რომ, ჯერ ერთი, შემდგომი მუშაობისას გავითვალისწინოთ, ვიცოდეთ რა შეცდომებს უშვებენ სტუდენტები; მეორეც — გამოვავლინოთ ჩვენი პედაგოგიური მუშაობის შესაძლო ხარვეზები.

გიორგი ბეზარაშვილმა თბილისის 126-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩვენი უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა.

გიორგი უკვე მესამე კურსის სტუდენტია და მეხუთე სესია კვლავ ფრიადებით დაიწყო. დღეისათვის ორი საგანი აქვს ჩაბარებული. მის ჩაბარებულ წიგნაკში ფრიადები ჩაწერეს ორგანულ ქიმიაში პროფ. ი. გვერდწითელმა, ისტორიულ მატერიალიზმში — პროფ. ს. ღარცულიანმა.

სურათზე: გ. ბეზარაშვილი გამოცდას აბარებს პროფ. ი. გვერდწითელს.



ექვრე სიჭაბუკე

ამ სურათზე აღბეჭდილია გამოცდა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის საღამოს სწავლების განყოფილების პირველ კურსზე: დოც. გურამ ღონღაძეს (მარცხნივ) ზოგად და ისტორიულ გეოლოგიაში გამოცდას აბარებს პავლე ხვედელიძე, რომელიც ამუამად ჩვენი უნივერსიტეტის ერთ-ერთი უხუცესი სტუდენტია.

პავლე ხვედელიძემ თავის მეორე სტუდენტობამდე სწავლისა და შრომის საინტერესო გზა განვლო: 1943 წლიდან, ჰიათურის მე-2 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ხუთი წელი სტალინის სახელობის მაღაროში მუშაობდა. იყო მნგრეველი, ელმავლის მემანქანე, ცვლის უფროსი... იქვე მიიღო სამთო-ტექნიკოსის კვალიფიკაცია.

1948 წელი. პავლე ხვედელიძე თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმის სტუდენტი ხდება, ფრიადებზე ამთავრებს სასწავლებელს და იწყება მისი, როგორც ტოპოგრაფის, ახალი ცხოვრება: იყო ტექნიკოს-ტოპოგრაფი, ტოპოგრაფიული პარტიის უფროსი, ბოლოს — რაზმის უფროსი.

ტოპოგრაფის განუყრელი თეოდოლიტთა და ზურგჩანთით თითქმის ფეხდაფეხ მოიარა მთელი საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, დაღესტანი, შემდეგ თურქმენეთი, უზბეკეთი, უაზახეთი...

ახლა პავლე ხვედელიძე ერთ-ერთ დაწესებულებაში კადრების განყოფილების უფროსია და პარალელურად ცოდნას იღრმავებს ჩვენს უნივერსიტეტში.

ახალგაზრდობის გვერდით პავლე ხვედელიძეს თითქოს ავიწყდება თავისი სწავლისა და შრომითი საქმიანობის 30-წლიანი თავგადასავალი და კვლავ ჰაბუკური ენერგიით ეუფლება მეცნიერებას.

შესანიშნავი ოთხეული

ფიზიკის ფაკულტეტის რუსული სექტორის პირველ კურსზე 80 სტუდენტია. მიმდინარე სესიაზე ისინი აბარებენ სამ საგანს: სკკპ ისტორიას, მათემატიკურ ანალიზსა და ზოგად ფიზიკას, აქვთ აგრეთვე ერთი დიფერენციალური ჩათვლა — ესთეტიკაში.

ფაკულტეტზე გამოცდები დაიწყო 2 იანვარს და აი, 15 იანვრისათვის 80 პირველკურსელიდან ოთხმა ვადაზე ადრე დაამთავრა გამოცდები; ესენი არიან: ნატალია მანჯავიძე, ფილიპე ულანოვსკი, ვიქტორ როიზინი და იანინა ლემპერტი. მათგან პირველმა ორმა ფრიადები დაიმსახურა, ხოლო სხვებმა — «ოთხები».

ე. ზორინა

აბარებენ მომავალი იურისტები

12 იანვარი. 126-ე აუდიტორიასთან იურიდიული ფაკულტეტის საღამოს განყოფილების IV კურსის სტუდენტები შეგროვებულიყვნენ. ღელავდნენ. ამის მიზეზი მართლაც რომ ჰქონდათ: ისინი ხომ მათი სპეციალობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საგანში — „საბჭოთა სისხლის სამართლის განსაკუთრებულ ნაწილში“ აბარებდნენ გამოცდას.

დღის პირველ საათზე დაწყებულმა გამოცდამ გვიანობამდე გასტანა. უკანასკნელი „გამოცდილი“. საშუალოზე ოდნავ მაღალი, შავგვრემანი ყმაწვილი ხანტად გამოვიდა აუდიტორიიდან. ცნობისმოყვარე ბიჭებმა ამოსუნთქვა არ აცალეს მას — ყველამ ერთდროულად დააყარა კითხვები: „როგორ არის საქმე?“. „რა ქენი?“. „რა დაგიწერა?“...

„შავგვრემანმა“ დინჯად მოავლო თვალი გულშემატკივარ თანაკურსელებს და ძლივს ამოღერღა: — „ოთხი“... ეს სიტყვა ისეთი იერით წარმოსთქვა, რომ ეტყობოდა უკმაყოფილო იყო. რას იზამ, გამოცდა გამოცდაა...

აუდიტორიიდან სულ ბოლოს იურიდიული ფაკულტეტის უფროსი მასწავლებელი, საქ. სსრ რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე, იუსტიციის მესამე კლასის სახელმწიფო მრჩეველი ვ. ედიშერაშვილი გამოვიდა. ლექტორს სახეზე ეტყობოდა, რომ კმაყოფილი იყო სტუდენტთა ცოდნით. მართლაც რომ საამაყო იყო იმ დღეს ჩატარებული გამოცდა მეოთხეკურსელი იურისტებისათ: ის — უმეტესობამ „ოთხებითა“ და „ხუთებით“ დაამშვენა ჩათვლის წიგნაკი.

რ. ვარაზაშვილი.
იურიდიული ფაკ. საღამოს განყ. IV კ. სტუდენტი.

გეჯითი მეცადინეობის შედეგი

მოუსვენებიან ვარაზის ხევს პირველკურსელები, სიარულზეც კი შეატყობთ, რომ ღელავენ. ღელავენ. რადგანაც დღეს უნდა ჩაიწეროს პირველი ნიშნები მათს ჩათვლის წიგნაკებში. ღელავდნენ მაშინაც, როდესაც შემოდგომის პირველ დღეს მოწიწებით შეაღეს ქართული უნივერსიტეტის კარები... ისინი 59 არიან, ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების პირველკურსელები, მშობლიური ენისა და ლიტერატურის სიყვარულით დამეგობრებულნი. მათ გადაწყვეტილი აქვთ, სანიმუშონი იყვნენ მთელ ფაკულტეტზე. ამიტომაც ასე გულდაგულ ემზადებიან თითოეული გამოცდისათვის. რა დასამალია, ყველა სტუდენტს ერთნაირი ნებისყოფა როდი აქვს, ზოგიერთს ჯერაც ვერ დაუღწევია თავი ბავშვური სიზარმაცისათვის. დროზე მიუხვდნენ მათ თანაკურსელები. გადაწყვიტეს, ჯგუფურად ემეცადინათ... ამან ჩინებული ნაყოფი გამოიღო. უკვე ორი გამოცდა ჩაბარეს პირველკურსელებმა — სკკპ ისტორია და საქართველოს ისტორია. მათ ჩათვლის წიგნაკებში მხოლოდ „ხუთიანები“ და „ოთხიანები“ ჩაიწერა. აი, ბეჯითი მეცადინეობის შედეგი. ...ახლაც აუდიტორიის წინ შეკრებილან და გულისფანცქალით ელოდებიან მათი მეგობრის ლიდა სოხაძის გამოსვლას, რომელიც გამოცდას აბარებს საქართველოს ისტორიაში დოც. ნოდარ ასათიანს. გაღიმებული გამოდის იგი, კმაყოფილია გამომცდელიც. კიდევ ერთი ფრიადი დაიწერა 921-ე ჯგუფში. ხელიდან ხელში გადადის ლიდას ჩათვლის წიგნაკი.

— ნეტავ რა საკითხი შემხვდება?! — ღელავენ სხვები...

მიუსვენებია ფიქრები საქართველოს ისტორიას, ფიქრობენ პირველკურსელები და საფუძვლიანად, ამომწურავად უპასუხებენ თითოეულ საკითხზე. ისტორიულ მოვლენებთან ერთად ასახელებენ იმ მხატვრულ ნაწარმოებებსაც, რომლებშიც ასახულია ჩვენი ერის წარსული „სელჯუკო, სიცოცხლე მაცალე!“ — თითქოს ყურში ჩაგესმის წინაპართა გმინვა.

ლიანა გიორგაძე კი ჩვეული სიდინჯითა და დამჯერებლობით ჰყვება საქართველოს გამაერთიანებლის დავით აღმაშენებლის შესახებ. მანაც ფრიადი დაიმსახურა.

ფრიადები მიიღეს აგრეთვე ქეთევან ჩიჯავაძემ, ქეთევან აბესაძემ, ნოდარ მამაცაშვილმა, ლევან ბერძენიშვილმა, თამარ ბალავაძემ, თამარ ლორთქიფანიძემ და სხვებმა.

ნელ-ნელა ცხრება მღელვარება... მთავრდება გამოცდა... კვლავ მოუსვენებიან ვარაზის ხევს სანეგაბრწუნებული პირველკურსელები....

წინ მხოლოდ ერთი გამოცდაა...

დიანა შალამბერიძე

* * *



სურათზე: (მარცხნიდან) დოც. ნოდარ ასათიანი გამოცდას ატარებს პირველკურსელებთან.

მასწავლებელი, სტუდენტი და ჩვენი მოქალაქეობრივი ვალდებულება

ჩვენი რესპუბლიკის ახალმა ხელმძღვანელობამ და საზოგადოების დიდმა ნაწილმა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს მექრთამეობას, შრომის დისციპლინის დარღვევებსა და სხვა მანკიერებებს, რომლებმაც, სამწუხაროდ, საკმაოდ ფართო გავრცელება ჰპოვეს ბოლო წლებში. მაგრამ, ბუნებრივია, ჩვენი სინამდვილისათვის უცხო და მიუღებელი მოვლენების აღმოფხვრისათვის ბრძოლაში პარტია მუდამ ემყარებოდა და ემყარება მასების შეგნებულ, აქტიურ მხარდაჭერას. ჩვენი უნივერსიტეტის მრავალათასიანი კოლექტივი კი თავისი მდგომარეობითა და მოწოდებით ვალდებულია პარტიის პოლიტიკის აქტიურ მხარდამჭერთა პირველ რიგში იყოს.

ფართო მასშტაბის მანკიერებები შეუმჩნეველად და სპეციფიკური სახით ვრცელდებოდა ძირეულ კოლექტივებში. ეს მწარე ხვედრი არ ასცდა უნივერსიტეტსაც. საერთო მღელვარების ფონზე გაჩნდა ლაქები. რექტორატს, პარტიულ კომიტეტს, პროფორგანიზაციებს, დეკანატებსა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დაძაბული ბრძოლა უხდებათ იმათ წინააღმდეგ, ვინც ზარმაცობს, აცდენს ლექცია-სემინარებს, არღვევს შრომის დისციპლინას, ნერაგვს ლიბერალიზმსა და პროტექციონიზმს, ლახავს უნივერსიტეტის ღირსებას ფართო საზოგადოების თვალში. თუნდაც ერთი წუთით წარმოვიდგინოთ გარეშე პიროვნების, უნივერსიტეტის თაყვანისმცემლის გულისტკივილი, როცა ვიგებდით, რომ აქ არიან არა მარტო გამცდენი და ზარმაცი სტუდენტები, არამედ ისეთი ლექტორებიც, რომლებიც უმიზეზოდ აცდენენ ლექციებს, ან გაცვეთილი, წლების წინათ დაწერილი კონსპექტებით კითხულობენ ლექციებს!

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ღონისძიებების საერთო შედეგი უნდა იყოს მასწავლებელსა და სტუდენტს შორის ისეთი შემოქმედებითი კონტაქტების დამყარება, რომლებიც კი არ წაშლიან მათ შორის ბუნებრივ დისტანციას, არამედ გამოიწვევენ ორმხრივ კანონიერ მომთხოვნელობასა და აქტივობას, შინაგანი თვითდისციპლინის განმტკიცებასა და ფართო მასშტაბის საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მზადყოფნას.

«კარგ მასწავლებელს—კარგი სტუდენტი», — ასეთია დევიზი, რომელიც ზუსტად გამოხატავს ამ ამოცანას. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, მედლის მხოლოდ ერთი მხარეა. მის მეორე მხარეზე კი წერია: «კარგ სტუდენტს — კარგი მასწავლებელი!»

სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ ბუნებრივად გამოიწვია უნივერსიტეტების გარდაქმნა მეცნიერული კადრების მომზადების ძირითად კერად. მაგრამ აქ თავს იჩენს ე. წ. «ვაშაულო სტუდენტის» პრობლემა, რომელიც სერიოზულად და საფუძვლიანად აფიქრებს ჩვენი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასაც. უნდა ვაღიაროთ — ეს პრობლემა მხოლოდ უკანასკნელ წლებში წარმოიშვა და, სავარუდოა, — ნაწილობრივ თვით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესითაც იყოს გამოწვეული: ზედაპირული, თუმცა ეფექტური, ინფორმაციების სიჭარბე ერთი მხრივ ქმნის ღრმა ცოდნის ილუზიას, ხოლო მეორე მხრივ, იგი იწვევს შემგუებლობას ჩამორჩენილობისადმი. მაგრამ მთავარი მიზეზი მაინც უნდა ვეძიოთ სიზარმაცისა და პროტექციონიზმის ფართოდ გავრცელებაში.

რა თქმა უნდა, ამით იმის თქმა კი არ გვინდა, თითქოს სტუდენტთა ახალი თაობა ძველზე უარესია. პირიქით, ახალი თაობების საერთო უპირატესობა ძველის მიმართ ცხოვრების კანონის და საზოგადოების პროგრესული განვითარების გამოხატულებაა. მაგრამ არ უნდა დავგავიწყდეს, რომ თაობათა მემკვიდრული ცვლა გულისხმობს ახალი თაობის მიერ ძველი თაობის ღირსებების ათვისებას. გულისტკივილით უნდა ითქვას, რომ უკანასკნელი წლების სტუდენტობამ «ვაშაულო მასის» სახით (ეს მასა კი მეტისმეტად მრავალრიცხოვანია) დაკარგა 50-იანი წლების სტუდენტების სიბეჯითე, წიგნისადმი სიყვარული, ცოდნის გაღრმავებისაკენ დაუოკებელი სწრაფვა.

საილუსტრაციოდ მივმართავ ასეთ შედარებას: წლების მანძილზე ვკითხულობდი და ვკითხულობ ლექციებს მექანიკა-მათემატიკისა და ფიზიკის ფაკულტეტებზე. ამ ფაკულტეტების სტუდენტების ფილოსოფიური ცოდნა ითვლებოდა და ახლაც შეიძლება ჩაითვალოს სანიმუშოდ. მაგრამ უკანასკნელი 2-3 წლის მანძილზე ფიზიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების ვაშაულო მომზადების სტუდენტთა ხვედრითი წონა 60%-ს აღემატება (ისტორიულ მატერიალიზმში შეფასების შედეგების მიხედვით), მაშინ როცა 1954-55 წლებში ფრიადოსანთა და კარგოსანთა რაოდენობა 80-90%-ს უდრიდა. ამ მონაცემების მეტ-ნაკლებ სიზუსტეს ალბათ დაადასტურებდნენ იმდროინდელი სტუდენტები, ამჟამად კი უნივერსიტეტის და სხვა დაწესებულებების უკვე ცნობილი მეცნიერები ნოდარ ჯორბენაძე, ოთარ ნაფეტვარიძე, კობა კვანტალიანი, დურსუნ ბალაძე, ვახტანგ ბადაგაძე და მრავალი სხვა.

წინა თაობებს ჰქონდათ კიდევ ერთი უპირატესობა — სემინარებზე შემოქმედებითი კამათის დიდი უნარი. ახლაც დიდი სიამოვნებით ვიგონებ, თუ როგორ ცხარედ კამათობდნენ ჭაბუკი ვახტანგ ქარუმიძე და დიდი სამამულო ომის გმირი დავით ჯაბიძე. მათ ჯგუფში (ისტორიის ფაკულტეტი), სადაც 25 სტუდენტიდან მხოლოდ ერთადერთი საშუალოსანი იყო, სტუდენტთა შემოქმედებითი მომთხოვნელობის გამო ლექტორს სისტემატიურად უნდა გამომქღავნებინა მზადყოფნა.

რა თქმა უნდა, ამჟამადაც არის სტუდენტობის დიდი მასა, რომელიც კეთილსინდისიერად ამზადებს სემინარის მასალებს, მაგრამ არსებითად აღარ არის ერთმანეთის ნათქვამისადმი კრიტიკული დამოკიდებულება, შემოქმედებითი კამათი. ეს კარგი ტრადიცია კი უნდა აღდგეს, თუ გვსურს სტუდენტმა მიიღოს წინასწარი სერიოზული წრთობა მეცნიერული მოღვაწეობისათვის.

საშუალო სტუდენტთა მასა მეტისმეტად დიფერენცირებულია. შევეხებით მხოლოდ სამ სავარაუდო კატეგორიას: პირველი მათგანია საშუალოსანი სტუდენტი-სპორტსმენები, რომლებიც ცდილობენ ჩამორჩენა გაამართლონ სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობით. მაგრამ აბა იკითხონ მათ, თუ როგორ იცავდნენ ერთდროულად სტუდენტობასა და სპორტსმენის მაღალ სახელს გივი რუხაძე, ვახტანგ ანანიაშვილი, ციალა სვანიძე, დავით გოძიაშვილი (გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი), თენგიზ მეუნარგია და ლერი გოგოლაძე (მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი).

უფრო რთულია საშუალო სტუდენტთა მეორე კატეგორიის საკითხი. მათი პასუხები ერთფეროვანი და შაბლონურია, ისინი ხშირად იმეორებენ ერთსა და იმავე სტანდარტულ ფრაზებს, რაც საერთო კონსპექტებით საგნის მომზადების გამოხატულებაა. ვვარაუდობთ, რომ მათი დიდი ნაწილი რეპეტიტორობის მავნე სისტემისადმი დაქვემდებარებული ახალგაზრდობაა, ხოლო მათი კოლექტიური სახელმძღვანელო კონსპექტები — რეპეტიტორთა კონსპექტების «ხელახალი გამოცემა».

მესამე კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ პროტექტორების მოიმედე საშუალოსნები, რომლებიც ფაქტიურად ოროსანთა ქვედაფენიდან ხელოვნურად გადმოყვანილი მასაა. პროტექციონიზმი არის პროტექტორებისა და მათი თხოვნის გამზიარებელი ლექტორების «ერთობლივი მოღვაწეობა». ამით ნათელი ხდება, რომ სტუდენტთა ეს კატეგორია მხოლოდ ფორმალურადაა საშუალო სტუდენტთა მასის ქვეჯგუფი, ფაქტიურად კი იგი წუნია, ამასთან ყოველგვარ სხვა წუნზე უარესი.

პროტექციონიზმის მავნებლობაზე ბევრი იწერება და დაიწერება. იგი მრავალმხრივ არის გაკიცხული სოციოლოგიური და მორალური თვალსაზრისით. გვინდა ყურადღება მივაქციოთ მხოლოდ იმ გარემოებას, რომ პროტექციონიზმი ამცირებს ახალგაზრდის საკუთარი ღირსების გრძნობას, ამასთან უმუშავებს მას სხვისი, დაუმსახურებლად ნიშნის დამწერი ლექტორისადმი უპატივცემულობას. სოციალისტური ჰუმანიზმი მოითხოვს ყოველი კანონის თუ ციფრობრივი მაჩვენებლის მიღმა დავინახოთ ადამიანი. პროტექციონიზმი არაცნობიერად აზიანებს ამ მოთხოვნას, აბსოლუტურს ხდის მას, ხშირად ტრაგიზმისა და გარდუვალი განსაცდელის საშიშროებით მოსავს ახალგაზრდას. უკეთეს შემთხვევაში ეს არის გაზვიადება, ხშირად გაუმართლებელი ძიძაობა ახალგაზრდა მოქალაქის მიმართ, უარეს შემთხვევაში კი ტყუილი, რომლის მიზანია ნიშნის დაუმსახურებლად გამოძალვა. თურმე შესაძლებელია თვით კურატორობის კეთილშობილი ინსტიტუტიც კი, თუ მის დანიშნულებას ცუდად გავიგებთ, პროტექციონიზმის სისტემის ნაწილად ვაქციოთ.

საილუსტრაციოდ გავიხსენებ ერთ შემთხვევას: გასული სასწავლო წლის I სემესტრში ერთმა საერთოდ მოწინავე სტუდენტმა უგულვებელყო სემინარული მეცადინეობა ფილოსოფიაში და ვერც გამოცდაზე დაიმსახურა სასურველი შეფასება. უკანასკნელ მომენტში ჩემთან მოვიდა ერთი ახალგაზრდა და მოითხოვა განმარტება. კითხვაზე, თუ ვინ ბრძანდება იგი, მიპასუხა: «მე ჯგუფზე მიმაგრებული მასწავლებელი ვარო». ჩემი ბუნებრივი პასუხი ასეთი იყო: «მაშინ თქვენ თავიდან უნდა გეზრუნათ ამ სტუდენტებზე, გაგერკვიათ, რატომ აცდენდა იგი ლექცია-სემინარებს» და ა. შ.

დასკვნა ასეთია: სტუდენტისა და მასწავლებლის შემოქმედებითი და მორალურად გამართლებული კონტაქტების ყოველმხრივი განვითარება, ყოველდღიური ზრუნვა ახალგაზრდა ადამიანის ცოდნისა და მორალური სახის სრულყოფაზე ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის შინაარსად უნდა იქცეს. თუ თითოეული ჩვენთაგანი დაძლევს წლების მანძილზე ძალაუნებურად გამომუშავებულ გულგრილობას და სხვების იმედით ყოფნას, მინიმუმამდე დავა გამცდენების, აკადემიურად ჩამორჩენილების, საშუალო სტუდენტების, სტუდენტისა და მასწავლებლისათვის შეუფერებელი რეციდივების რიცხვი. თითოეული ლექტორისა და სტუდენტის აკადემიური და მორალური დონის, საზოგადოებრივი აქტივობისა და თვითდისციპლინის განმტკიცებაზე ზრუნვა ჩვენი მოქალაქეობრივი ვალდებულებაა. ეს იქნება ჩვენი ყველაზე ეფექტური მონაწილეობა ზემოაღნიშნულ მანკიერებათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

პროფ. გ. ასათიანი



ნგუენ ხაკ ფუკი იცავს დისერტაციას

ვიეტნამელი ნგუენ ხაკ ფუკი თბილისს ეწვია 1969 წელს. მან დაამთავრა ხანოის უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი და რამდენიმე წლის განმავლობაში აქვე მუშაობდა მათემატიკური სტატისტიკის კათედრაზე. იმ პერიოდში ჩამოყალიბდა ნგუენ ხაკ ფუკის მეცნიერული ინტერესები. იგი დაინტერესდა მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების გამოყენებით ენათმეცნიერებაში; კერძოდ, ვიეტნამური ენის ინფორმაციული ანალიზით. როდესაც ნგუენი თბილისში ჩამოვიდა, იგი უკვე რამდენიმე შრომის ავტორი იყო. ჩვენს უნივერსიტეტში ნგუენ ხაკ ფუკმა სწავლა გააგრძო ასპირანტურაში კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტზე. აქ იგი მუშაობდა მათემატიკური ლინგვისტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგში — სტატისტიკურ ენათმეცნიერებაში. მისი ხელმძღვანელი იყო დოც. თ. გაჩეჩილაძე. ნგუენ ხაკ ფუკმა თბილისში დაჰყო 3,5 წელი. ამ ხნის განმავლობაში მან გამოაქვეყნა 8 შრომა საქ. მეცნ. აკად. მოამბეში და თბილისის უნივერსიტეტის შრომებში, მონაწილეობა მიიღო ორ საკავშირო კონფერენციაში.

ა. წ. 13 იანვარს ნგუენ ხაკ ფუკმა წარმატებით დაიცვა დისერტაცია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ფიზიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ ერთხმად მიანიჭა მას საძიებელი ხარისხი. მისი დისერტაცია მიძღვნილი იყო სემიოტიკის ფუნდამენტური საკითხისადმი — ნაბეჭდი ინფორმაციის სტატისტიკური და ინფორმაციული ანალიზისადმი.

* * *

სურათებზე: (ზემოთ) ნგუენ ხაკ ფუკი დისერტაციის დაცვისას. (ქვემოთ) დისერტანტს ულოცავენ თანამემამულენი.



იუბილეს მიეძღვნა

ახლახან შედგა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების სკკპ ისტორიის კათედრის (გამგე პროფ. დ. ჩხეკვიშვილი), ეკონომიური სპეციალობების პოლიტიკური ეკონომიის კათედრის (გამგე პროფ. ა. ფანცხავა) და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების პოლიტიკური ეკონომიის კათედრის (გამგე, პროფ. გ. ჭანუყვაძე) გაერთიანებული საჯარო სხდომა, მიძღვნილი სსრ კავშირის შექმნის 50-ე წლისთავისადმი.

მოხსენებები წაიკითხეს: დოც. ა. კობაიძემ, პროფ. დ. ქორიძემ, დოც. გ. ბასილაიამ:

დოც. ა. კობაიძემ (საქართველოს კომპარტიის მოღვაწეობა სსრ კავშირში საქართველოს გაერთიანებისათვის) ვრცლად გააშუქა საქართველოს კომპარტიის მოღვაწეობა ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შესაქმნელად. მოხსენებაში ხაზგასმით აღინიშნა ქართველი კომუნისტების შეუპოვარი ბრძოლა ნაციონალ-უკლონიზმისა და სხვა ჭუროს ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ.

მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოსა და მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიური განვითარების კანონზომიერებებზე ისაუბრა პროფ. დ. ქორიძემ. — განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში, — აღნიშნა მომხსენებელმა, — არსებითად გადაწყვეტილია მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიური განვითარების გამოთანაბრების პრობლემა. ახლა, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის კვალდაკვალ, ხორციელდება მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიური განვითარების ოპტიმალური გამოთანაბრების უკანასკნელი, დამამთავრებელი პერიოდი.

დოც. გ. ბასილაიამ წაიკითხა მოხსენება — „თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია და საქართველოს ეკონომიკა“. მომხსენებელმა აღნიშნა ის ისტორიული წარმატებები, რომლებიც საქართველოს ეკონომიკას გააჩნია სსრ კავშირის შექმნის 50-ე წლისთავზე. ფართოდ დაახასიათა სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის როლი საბჭოთა საქართველოს ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის საქმეში.

მ. ჭირთბაია

სტუდენტური გაზეთებიდან

„სსრკ ხალხთა ლიტერატურის“ კურსის სწავლების პრობლემები

„სსრკ ხალხთა ლიტერატურის ისტორიის“ კურსი ომისშემდგომ პერიოდში ჩვენი ქვეყნის მრავალ უმაღლეს სასწავლებელში იკითხება, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის გამომუშავებული კურსის აგების საერთო პრობლემურ-მეთოდოლოგიური და მეთოდური პრინციპები, არ არის სტაბილური პროგრამები.

ამ კურსის სწავლების საერთო მეთოდოლოგიური და მეთოდური პრინციპების შესამუშავებლად და გამოცდილების გასაზიარებლად ლენინგრადის სახ. უნივერსიტეტში ჩატარდა საკავშირო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა სსრკ შექმნის 50-ე წლისთავს.

კონფერენციის პროგრამა შედგებოდა ორი ერთმანეთთან დაკავშირებული ნაწილისაგან: მოხსენებები კურსის საერთო პრობლემურ-მეთოდოლოგიური საკითხების შესახებ; პროგრამის მეთოდოლოგიური და მეთოდური აგების პრინციპები.

კონფერენციას ესწრებოდა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების ბევრი უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები. მოხსენებებით, ცნობებითა და კამათში გამოვიდა 25 კაცი.

კონფერენციის მუშაობის პროცესში იმსჯელეს კურსის აგების ძირითად პრობლემურ-მეთოდოლოგიურ პრინციპებზე, აგრეთვე დაამტკიცეს კურსის პროგრამის პროექტი, რომელიც დამატებით განხილვის შემდეგ სტაბილურ პროგრამად იქცევა.

კონფერენციაზე წამოიჭრა მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც შეეხება უმაღლეს სასწავლებლებში «სსრკ ხალხთა ლიტერატურის ისტორიის» კათედრების შექმნას, მასწავლებლების მომზადებას, კურსისათვის საჭირო ლიტერატურის გამოცემას და ა. შ.

„კიშინიოვსკი უნივერსიტეტ“.

გიორგი ჩუბინაშვილი



გარდაიცვალა დიდი ქართველი საბჭოთა მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე გიორგი ჩუბინაშვილი.

ჩვენმა მეცნიერებამ უმძიმესი დანაკლისი განიცადა. გიორგი ჩუბინაშვილი ეკუთვნოდა იმ იშვიათ მკვლევართა რიცხვს, რომელნიც მეცნიერებაში ახალ ფურცლებს შლიან, ახალ დარგებს აფუძნებენ და ახალ პერსპექტივებს სახავენ. იგი ერთი იმათთაგანია, ვინც საფუძველს უყრიდა ოქტომბრის რევოლუციის მიერ განთავისუფლებული საქართველოს ახალ კულტურასა და მეცნიერებას. მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე მან სამშობლოს კეთილდღეობისათვის, მისი კულტურისა და ხელოვნების აყვავებისათვის ზრუნვას შეალია. თავისი თავდადებული შრომით გიორგი ჩუბინაშვილმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ქართულ ხელოვნებათმცნიერებას. მან აღზარდა ქართველ საბჭოთა მხატვართა, ხუროთმოძღვართა და ხელოვნების ისტორიკოსთა რამდენიმე თაობა. უდიდესი წვლილი შეიტანა კულტურის ძეგლთა დაცვისა და მუზეუმების ორგანიზაციის საქმეში. მისი უურადღების გარეშე არ დარჩენილა არც არქეოლოგია, მის შრომებს დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიის ზოგადი საკითხების გასაშუქებლადაც.

გიორგი ჩუბინაშვილი, შვილიშვილი გამოჩენილი ქართველი ლექსიკოგრაფის დავით ჩუბინაშვილისა, დაიბადა 1885 წლის 21 ნოემბერს პეტერბურგში. დიდ ინტერესს საქართველოსა და ქართული კულტურის შესწავლისადმი, რომელიც მის ოჯახში ჰაპის გარდაცვალების შემდეგაც არ შენელებულა, გადამწუვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ახალგაზრდა გიორგი ჩუბინაშვილის, როგორც პიროვნებისა და მეცნიერის ჩამოყალიბებისათვის. უმაღლესი განათლება მან გერმანიაში მიიღო, ლაიფციგისა და ჰალეს უნივერსიტეტებში. აქ ძირითადად სალხთა ფსიქოლოგიას სწავლობდა, მაგრამ უკვე მაშინ მას განსაკუთრებული ძალით იზიდავდა ხელოვნების კვლევის პრობლემები. იგი საფუძვლიანად გაეცნო ევროპის მუზეუმებს, ხუროთმოძღვრების ძეგლებსა და სხვითი ხელოვნების ნაწარმოებთ დასავლეთის ქვეყნებში. პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ კი საბოლოოდ გადაწყვიტა თავის სპეციალობად ქართული ხელოვნების ისტორია გაეხადა. იგი ჩაწერა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ფაკულტეტის მსმენელად და რამდენიმე წელიწადს მუშაობდა ნიკო მარის, ივანე ჯავახიშვილისა და გამოჩენილი რუსი ხელოვნების ისტორიკოსის იაკობ სმირნოვის ხელმძღვანელობით, თანამშრომლობდა ნიკო მართან, რომელიც იმხანად სომხეთის ძველი დედაქალაქის ანისის გათხრებს აწარმოებდა, ხოლო 1916 წელს თვითონვე ხელმძღვანელობდა ანისის არქეოლოგიურ კამპანიას. ამასთანავე, ზაფხულობით მოგზაურობდა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა შესასწავლად. უშუალოდ რევოლუციის წინა წლებს მიეკუთვნება მისი პირველი გამოკვლევები ძველი ქართული და სომხური ხელოვნების შესახებ.

1917 წელს გიორგი ჩუბინაშვილი თბილისში გადმოდის საცხოვრებლად და 1918 წლის შემოდგომიდან უერთდება ახლად დაარსებული ქართული უნივერსიტეტის პირველ პროფესორთა ჯგუფს. იგი აარსებს ხელოვნების ისტორიის კათედრასა და «ხელოვნების მეცნიერების კაბინეტს», რომელიც გადაიქცა ქართული ხელოვნების მეცნიერული კვლევის პირველ კერად. მაშინ ჩაეყარა საფუძველი სისტემურ საექსპედიციო მუშაობას და მას შემდეგ, რამდენიმე ათეული წლის მანძილზე, გიორგი ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით სამეცნიერო ექსპედიციებმა საქართველოს ყველა კუთხეში ფასდაუდებელი ფაქტობრივი მასალა მოაგროვეს: გამოვლინდა და მეცნიერულად აიზომა მრავალი ასეული ძეგლი საერთო და საეკლესიო არქიტექტურისა. შესწავლილ იქნა მონუმენტური მხატვრობის, დეკორაციული კულტურისა და ოქრომჭედლობის უამრავი ნიმუში. სწორედ ეს უზარმაზარი მასალა დაედო მტკიცე საფუძვლად ქართული ხელოვნების მეცნიერულ ისტორიას. «ხელოვნების მეცნიერების კაბინეტთან» გიორგი ჩუბინაშვილის თაოსნობით იმთავითვე შეიქმნა ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმი, რომელიც უფრო გვიან საფუძვლად დაედო საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს. გ. ჩუბინაშვილმა შეადგინა პროგრამა მანამდე არსებული მუზეუმების რეორგანიზაციისა გარკვეული მიზანდასახულობისა და პროგრამის მიხედვით, მისი უშუალო მონაწილეობით მოგროვდა სიძველის ბევრი ღირსშესანიშნავი ნაშთი, იგი მეთაურობდა ძველი ქართული ხელოვნების დიდი გამოფენების მოწყობას საქართველოში, სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქებში, 1930 წელს კი გერმანიაში, სადაც მისმა საჯარო ლექციებმა ქართული ხელოვნების შესახებ საყოველთაო ინტერესი და პრესის დიდი გამოხმაურება გამოიწვია.

სიცოცხლის ბოლომდე იგი იყო ერთი ყველაზე აქტიური მოღვაწეთაგანი ჩვენი ეროვნული ძეგლების დაცვისა და რესტავრაციის დარგში — მისი დიდი გამოცდილება და ღრმა ცოდნა არა მარტო თეორიულ საკითხებს სწვდებოდა, არამედ პრაქტიკოს რესტავრატორებისათვისაც მუდამ საჭირო და სასარგებლო იყო სავსებით კონკრეტული საკითხების გადაწყვეტისას. იგი კულტურის ძეგლთა დაცვის საქართველოს საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის უცვლელი წევრი იყო დღიდან საზოგადოების დაარსებისა.

მაგრამ გიორგი ჩუბინაშვილის ინტერესები არ იფარგლებოდა მარტო ძველის კვლევით. მას მუდამ განსაკუთრებით იზიდავდა და აღელვებდა ახალი ქართული ხელოვნების აღორძინებისა და განვითარების პრობლემები, მას ღრმად სწყამდა, რომ უპირველესი პირობა ქართული საბჭოთა ხელოვნების მომავალი განვითარებისა — ეროვნული კადრების აღზრდა იყო და აი, 1922 წელს, როდესაც თბილისში დაარსდა სამხატვრო აკადემია, რომელმაც ნახევარი საუკუნის მანძილზე აღზარდა ქართველ ფერმწერალთა, გრაფიკოსთა, მოქანდაკეთა, ხუროთმოძღვართა, გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა მრავალი თაობა, მის პირველ რექტორად დაინიშნა გიორგი ჩუბინაშვილი. მისი ღვაწლის შედეგიც არის, რომ აკადემიაში სწავლება იმთავითვე საღ რეალისტურ პრობლემებს ემყარებოდა და მტკიცე პროფესიულ ჩვევებს უნერგავდა ახალგაზრდა შემოქმედთ.

1941 წელს გიორგი ჩუბინაშვილი არჩეული იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველ შემადგენლობაში. იმავე წელს იგი სათავეში ჩაუდგა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტს, რომელმაც მისი ხელმძღვანელობით ფართოდ გაშალა მუშაობა ძველი, ახალი და საბჭოთა ქართული ხუროთმოძღვრების, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მეცნიერული შესწავლის დარგში. ვეკუა-ძიებამ მოიცვა საქართველოს მეზობელი ქვეყნებიც — ჩრდილოეთი კავკასია, სომხეთი, ინსტიტუტის თანამშრომელთა ნაშრომებმა მაღალი პრესტიჟი მოუხვეჭა ქართულ საბჭოთა ხელოვნებათმცოდნეობას.

როდესაც გ. ჩუბინაშვილი სამეცნიერო მოღვაწეობის ასპარეზზე გამოდიოდა, ქართული ხელოვნების ისტორია, როგორც მეცნიერების დარგი, ჯერ კიდევ არ არსებობდა, თუმცა კი ნიადაგი საამისოდ მომზადებული იყო. XIX ს. მანძილზე და XX ს. დასაწყისში ქართველმა და რუსმა მეცნიერებმა დიდძალი მასალა მოაგროვეს ქართული ძეგლების შესახებ. მაგრამ ეს მასალა ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით განზოგადოებული და ისტორიულად გააზრებული არ იყო. გაურკვეველი რჩებოდა ევოლუციის სურათი, ხოლო ჩვენი ხელოვნების ეროვნული თვითმყოფადობა, დასავლელი მეცნიერების მცდარი გაშუქების წყალობით, ფაქტიურად უგულვებელყოფილი იყო.

გ. ჩუბინაშვილის უდიდესი დამსახურება ის არის, რომ მან ქართულ სიძველეთა ნაშთების თვალუწვდენელი სამრავლე მწყობრ სისტემაში მოიყვანა, თვით ძეგლები და მათი ისტორია დაუკავშირა მათი წარმომქმნელი საზოგადოების განვითარებას, პირველმა გააანალიზა ძეგლები სტილის თვალსაზრისით და ნათელი ისტორიული კონცეფციის საფუძველზე პირველმა წარმოაჩინა ქართული ხელოვნების ევოლუციის საფეხურები. მისმა შრომებმა, არსებითად, საფუძველი ჩაუყარა ახალ მეცნიერულ დისციპლინას — ქართული ხელოვნების ისტორიას, საქვეყნოდ გამოაჩინა ქართული ხელოვნების ორიგინალობა, მისი წვლილი და ადგილი მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების ზოგად განვითარებაში.

გ. ჩუბინაშვილის მრავალრიცხოვანი მონუმენტური გამოკვლევები ფართოდ არის ცნობილი. ესენია მონოგრაფიები ბოლნისის სიონის, მცხეთის ჯვრის ტიპის შენობათა, წრომის ტაძრის, კახეთის არქიტექტურის, დავით გარეჯის გამოქვაბულ მონასტერთა, შუა საუკუნეთა ოქრომჭედლობის შესახებ, ქართული ხელოვნების ისტორიის პირველი ტომი, «ქართული ხუროთმოძღვრების გზები», მრავალი ნარკვევი ქართულ, რუსულ, გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ და სხვა ენებზე. გ. ჩუბინაშვილს თვალსაჩინო წვლილი აქვს შეტანილი საქართველოს არქეოლოგიური შესწავლის საქმეში, არაერთი წერილი უძღვნა მან ქართულ საბჭოთა ხელოვნებათმცოდნეობის მთელ გზას.

გიორგი ჩუბინაშვილი ყოველთვის აქტიურად ეხმაურებოდა ქართველ მხატვართა და ხუროთმოძღვართა შემოქმედებას, მრავალი წლის განმავლობაში იყო საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის წევრი.

გიორგი ჩუბინაშვილის შრომებმა, რომლებიც გამოირჩევა განსაკუთრებული სიღრმით, საკითხთა ყოველმხრივი გაშუქებით, ურყევი არგუმენტაციით და ანალიზის სამახვილით, საერთაშორისო ავტორიტეტი მოუპოვა მათს ავტორს.

გიორგი ჩუბინაშვილის ღვაწლი დიდად იყო დაფასებული, მას მინიჭებული ჰქონდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, დაჯილდოებული იყო ლენინის ორი ორდენით, იგი იყო აგრეთვე ლაიფციგის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი.

ვინც იცნობდა გ. ჩუბინაშვილს, ვერ დაივიწყებს მის განსაკუთრებულ ადამიანურ თვისებებს, — მის ურყევ პრინციპულობას, თავმდაბლობას, პირუთვნელობასა და პირდაპირობას, შრომაში თავდადებასა და შეუპოვრობას, უდრეკ ნებისყოფას, ინტერესთა სიფართოეს, დიდ გულისხმიერებას. იგი განსაკუთრებული მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ყოველ საქმეს, ვერ ეგუებოდა გულგრილობასა და დაუდევრობას.

გიორგი ჩუბინაშვილის — მეცნიერის, მოქალაქის, პატრიოტის — ღვაწლმა ღრმა კვალი გაავლო ქართული საბჭოთა კულტურის განვითარებაში, — და მადლიერი ხალხიც სამუდამოდ შეინახავს მის სახელს.

პ. გილაშვილი, ა. ინაური, შ. კიკნაძე, პ. მელნიკოვი, ზ. პატარიძე, ე. შევარდნაძე, ა. ჩურკინი, გ. ძოწენიძე, შ. ჭანუყვაძე, გ. ჯავახიშვილი, ო. ჩერქეზია, თ. მოსაშვილი, ჯ. პატიაშვილი, ვ. სირაძე, ნ. მუსხელიშვილი, ი. ვეკუა, ი. აბაშიძე, შ. ამირანაშვილი, ე. ანდრონიკაშვილი, გ. ახვლედიანი, ა. ბარამიძე, ი. გერიტაშვილი, ვ. გერიძე, ქ. გამსახურდია, თ. დავითაია, რ. დვალი, ს. დურმიშიძე, ქ. ზავრიევი, ნ. კეცხოველი, ვ. კუპრაძე, ნ. ლანდია, გ. მელიქიშვილი, გ. საბაშვილი, ა. ფრანგიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, ა. შანიძე, დ. შენგელაია, გ. ჩიტაია, გ. ციციშვილი, გ. ჭარგეთელი, ე. ხარაძე, ა. ჯანელიძე, გ. ჯიბლაძე, ო. თაძთაძიშვილი, დ. ჩხიკვიშვილი, ნ. ჩერქეზიშვილი, გ. აბაშიძე, ა. გალანჩივაძე, გ. თოთიბაძე, ე. ახვლედიანი, ლ. გუდიაშვილი, ვ. თოფურიძე, ქ. მაღალაშვილი, ს. ქოგულაძე, ი. ჩხენკელი, ი. ციციშვილი, ა. ქურდიანი, ნ. ჯანგირიძე, უ. ჯაფარიძე.

ივანე ჯავახიშვილი და გიორგი ჩუბინაშვილი

უნივერსიტეტის არსებობის პირველ წელსავე სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტმა ერთხმად მიიწვია გიორგი ჩუბინაშვილი ხელოვნების ისტორიის კათედრის გამგედ. შუამდგომლობა თვითონ ივანე ჯავახიშვილმა აღძრა. თავის წარდგინებაში ივანე ჯავახიშვილი ფაკულტეტს აცნობდა ჰალეს უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და თავისუფალ ხელოვნებათა დოქტორს გ. ჩუბინაშვილს, როგორც მომზადებულ და ფრთხილ მკვლევარს და თავისი საგნის ღრმად მოყვარულს. გ. ჩუბინაშვილს „ქართული ხელოვნების ისტორია თავის განსაკუთრებული კვლევის საგნად აქვს არჩეული და ამ დარგში მეთოდურად მუშაობს. როგორც ხელოვნების საზოგადო თეორიისა და ისტორიის მცოდნეს, მას ქართული ხელოვნების ისტორიის შესწავლისათვის შესაფერისი წინასწარი მომზადება აქვს და მისი ნაწერებიც მოწმობენ, რომ ამ ასპარეზზე მას თვალსაჩინო ნაყოფიერებისა და სარგებლობის მოტანა შეუძლიან“. 1918 წელს ივანე ჯავახიშვილის მიერ დაწერილი ეს სიტყვები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა.

ივანე ჯავახიშვილს უკვე 1913 წლიდან ჰქონდა შემუშავებული გეგმა ქართული ხელოვნების ისტორიის შედგენისა და მომავალ უნივერსიტეტში ქართული ხელოვნების ისტორიის კათედრის დაარსებისა. ამ განზრახვის აღსრულებისათვის სწორედ გ. ჩუბინაშვილი ჰყავდა გამიზნული, რომელსაც ჯერ კიდევ პეტერბურგიდან იცნობდა. ფართო ერუდიცია გ. ჩუბინაშვილს საშუალებას აძლევდა ხელოვნების ზოგადი ისტორიის გამოჩენილი სპეციალისტი ყოფილიყო, მაგრამ გ. ჩუბინაშვილმა სხვა გზა აირჩია. მთელი მისი დიდი ნიჭი და ღრმა ერუდიცია მდიდარი ქართული ხელოვნების ისტორიის შესწავლას მოახმარა. და კიდეც აიყვანა ეს დარგი მსოფლიო მეცნიერების დონეზე. პროფესორ გიორგი ჩუბინაშვილის მუშაობა უნივერსიტეტში იმით დაიწყო, რომ მისი მოსვლისთანავე შესაძლებელი გახდა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე ცალკე დარგად გამოყოფილიყო ხელოვნების თეორია და ისტორია. ამ კათედრაზე გაიშალა სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი მუშაობა ხელოვნების ისტორიაში პირველი ქართული მეცნიერული კადრების აღსაზრდელად. სწორედ პროფ. გ. ჩუბინაშვილის წარდგინებით იქნა დატოვებული პირველი ასპირანტები ხელოვნების ისტორიის დარგში. პროფ. გ. ჩუბინაშვილი იმ ბუნჯთაგანი იყო, რომელმაც თავიდანვე მაღალი აკადემიური დონე დააფუძნა ახალფეხადმულ უნივერსიტეტში. მარტო აკადემიური საქმიანობით როდი იზღუდებოდა გ. ჩუბინაშვილის იმდროინდელი მოღვაწეობა. გ. ჩუბინაშვილის უკვდავ დამსახურებას ქართველი ერის წინაშე მიეკუთვნება მისი სწორუპოვარი ბრძოლა ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების გადასარჩენად და კულტურულ-ისტორიულ ფასეულობათა დასაცავად და შესაკრებად.

1919 წლის 9 აპრილს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო საგანგებოდ იხილავს ისტორიულ-არქიტექტურული და ხელოვნების ძეგლების მოვლა-პატრონობის საკითხს, აღნიშნავს მონასტრების ძარცვასა და ისტორიულ-არქეოლოგიური მნიშვნელობის ნივთების დაკარგვა-დაღუპვის გაზრდის ფაქტებს. საბჭო ადგენს: „მიღებულ იქნეს ფიცხელი და საჭირო ზომები ჩვენი წარსულის ძეგლების გადასარჩენად და დასაცავად“.

პროფ. გ. ჩუბინაშვილი ამ ბრძოლების შუაგულშია. ხელოვნების ისტორიის კათედრასთან შექმნილი ხელოვნების მეცნიერების კაბინეტი იმ ცენტრად იქცა, რომელმაც დაღუპვისაგან გადაარჩინა ჩვენი ხალხის მრავალი საუნჯე. ამ მოღვაწეობაში გ. ჩუბინაშვილს ივანე ჯავახიშვილი, როგორც თბილისის უნივერსიტეტის რექტორი, მგზნებარედ უჭერდა მხარს.

კულტურულ ფასეულობათა გადარჩენისა და დაცვის წინადადებებს, იგონებს გ. ჩუბინაშვილი, ივანე ჯავახიშვილი იღებდა ყოველგვარი ვრცელი წერილობითი დასაბუთების გარეშე, დაუყოვნებლივ და უსიტყვოდ; „არც თვითონ ხარჯავდა სიტყვებს, ყველა ღონისძიებას ღებულობდა და მათი სისრულეში მოსაყვანად შესაფერის განკარგულებებს იძლეოდა“.

ივანე ჯავახიშვილმა 1939 წელს წაკითხულ ერთ-ერთ თავის მოხსენებაში საჭიროდ ჩათვალა აღენიშნა ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში პროფ. გ. ჩუბინაშვილის ნაშრომების ფუძემდებლური მნიშვნელობა.

პროფ. გ. ჩუბინაშვილს მთელი მისი ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე თან სდევდა ივანე ჯავახიშვილისადმი — ქართული უნივერსიტეტის ამ მესაძირკვლისა და მეცნიერების სინდისისადმი — მოწიწება და პატივისცემა.

1941 წლის 18 ნოემბერს, ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების წლისთავზე, გიორგი ჩუბინაშვილი ამბობდა: „წარსულს რომ მივუბრუნდები ხოლმე, ბატონ ივანეს ვხედავ ჯერ მაშინ, როცა ის სტუდენტი თუ ახლად უნივერსიტეტდამთავრებული იყო (მე კიდევ ყრმა 12-15 წლისა), მერმე მაშინ, როცა ის იოსებ ყიფშიძის დისერტაციის ოპონენტად გამოვიდა (1914 წ.) და ბოლოს — მაშინ, როცა გარემოებამ მასთან უკანასკნელ 25 წელს პეტერბურგსა და თბილისში დამაკავშირა. შთაბეჭდილება, რომელიც მან ამ სამივე ხანს ჩემში გამოიწვია, მუდამ ერთია. ეს შთაბეჭდილება, უცვლელი და თანაბარი აღნიშნულ დროთა მთელ მანძილზე, შთაბეჭდილებაა, რომელიც შეიძლება მიიღო მუდამ სწორის, მშვიდის, ყურადღებიანისა და მიზანმიმართულის, უხისლოსა და აუსწრაფებელის დამოკიდებულებათა არეში გადაუხვევლებელი ადამიანის გარეგანი და შინაგანი აღნაგობისაგან. მისი დამოკიდებულება ყოველი საკითხისადმი მუდამ გამოდიოდა საქმის შინაარსიდან და ინტერესებიდან და არასდროს პირთა კერძო სურვილების მიხედვით“.

მნიშვნელოვანწილად ეს სიტყვები გიორგი ჩუბინაშვილის მოქალაქეობრივ სახეზეც შეიძლება გავავრცელოთ.

პროფ. გ. ჩუბინაშვილი მეცნიერულ დიდებას სიცოცხლეშივე მოესწრო. ახლა კი მისი სახელი მეცნიერების ისტორიიდან ქართველი ერის ისტორიაში გადავიდა.

პროფ. **ს. ჯორბენაძე.**

ანატოლი აგრანოვსკი

შეუცვლელნი

2.

შეუცვლელნი არსებობენ. მაინც არსებობენ. რამდენიმე წლის წინათ თხილამურებით ლაშქრობისას დაიღუპა ნიჭიერი მათემატიკოსი იგორ გირსანოვი. ამის შემდეგ განყოფილებამ, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა კორპუს „ა“-ში, არსებობა შეწყვიტა. ასეთია ისტორია, ნაღვლიანი, მაგრამ ამასთანავე, ამაღლებული: იგი ლაპარაკობს ადამიანის ჭეშმარიტ ფასზე, მასზე, რომ მეცნიერებას ესაჭიროება არა ბრბო, არამედ ადამიანები, არა საშტატო ერთეულები, არამედ — პიროვნებები.

რასაკვირველია, პლანეტის მასშტაბით მას, რასაც ერთნი ვერ გააკეთებენ, სხვები გააკეთებენ, დღეს თუ არა, ხვალ, ამ ქვეყანაში თუ არა, მეორეში. ცნობილია, რომ აღმოჩენები არა ერთხელ მოუხდენიათ ერთდროულად სხვადასხვა ქვეყანაში. ბოლოსდაბოლოს კაცობრიობისათვის სულერთია, სახელდობრ ვინ აღმოაჩენს ჭეშმარიტებას. მაგრამ ქვეყნისთვის, უეჭველია, სულერთი არ არის. წასულთა ადგილს მუდამ ახალგაზრდა თაობა იჭერს. მაგრამ საქმის არსიც ის არის, რომ საზოგადოება ყოველთვის ეძებს ღირსეულ შემცვლელს. სხვაგვარად საიდან იქნებოდა პროგრესი? ერთი შეუცვლელის ადგილს იკავებს მეორე, ისიც შეუცვლელი. და არა მარტო მეცნიერებაში. შეიძლება ყოველი ჩვენგანი თავის დროს, თავის ადგილას რაღაცაში შეუცვლელია.

(გაგრძელება. დასაწ. № 2)

ყოველ შემთხვევაში, მე მომწრომს ასე ფიქრი. ამ განწყობილებით ვუბრუნდები კორპუს „ა“-ს.

მეცნიერი, ნამდვილი მეცნიერი, ვალდებულია იფიქროს, თუ ვინ შეცვლის მას. ეს საყოველთაოდ ცნობილია, ამის შესახებ ბევრჯერ დაწერილა, წინააღმდეგიც არავინაა. მაგრამ ყველას შეუძლია განზე გაიწიოს, რომ ახალგაზრდებს გზა დაუთმოს?

რა არის საჭირო, რომ მეცნიერები იზრდებოდნენ? საჭიროა შესაფერისი ადგილი, თანამედროვე ხელსაწყოები, ლიტერატურა, ინფორმაციის სისტემა — ყოველივე ამაზე წინა სტატიაში ვწერდი. კიდევ საჭიროა და, შეიძლება, ყველაზე მეტად საჭიროა ადამიანური დამოკიდებულება, კოლექტივის გარკვეული ზნეობრივი დონე. არავითარი საიდუმლო, არავითარი მისტიკა ჩვენს თემაში არ არის: თუ გინდა აღზარდო შეუცვლელნი — მეცი ადამიანებს, ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდებს, შესაძლებლობა გამოავლინონ თავიანთი თავი. ძალიან უბრალოდ: მიეცი მათ მუშაობის საშუალება.

მოლეკულური კორპუსის სათავეში დგას ბიოქიმიკოსი ა. ნ. ბელოზერსკი. მან დაამთავრა ტაშკენტის უნივერსიტეტი, მოსკოვის უნივერსიტეტში 1930 წლიდანაა, აქ გახდა მეცნიერების დოქტორი, ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ნუკლეინის მჟავების შესწავლა, შემდეგ მიიღო ლომონოსოვის პრემია, შემდეგ აირჩიეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, შემდეგ აკადემიკოსად. მაგრამ იყო და დარჩა, მისი აღიარებით, უნივერსიტეტელ ადამიანად: „შევეჩვიე ახალგაზრდობას“.

— ჩემი მასწავლებელი, პროფესორი კიზელი, შემაძრწუნებელი სიმკაცრით მეპყრობოდა. მოხუთიოზე მდებარე ძველ შენობაში მას ჰქონდა ლაბორატორია, ერთი ოთახი ამწოვი კარადით. მე ვმუშაობ, ალექსანდრე რომანის ძე გვერდით მიზის, მიყურებს. ვფიქრობ: რატომ მიდგას სულ კრიჭაში? და მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ მივხვდი: მას ვერ გადაეწყვიტა, ღირდა თუ არა ჩემზე იმედის დამყარება.

ბელოზერსკის ერთმა ასპირანტმა, რომელსაც ჯერ კიდევ საკურსოებიდან, დიპლომიდან ადევნებდა თვალყურს, სერიოზული სამუშაო შეასრულა. ისეთი, რომ მასაც ხელი მოუხვეჭა და მასწავლებელსაც, მსოფლიო აღიარება მოიპოვა. შემდგომში ეს ასპირანტი, ა. ს. სპირინი, ერთ-ერთი უველაზე ახალგაზრდა გახდა აკადემიკოსი. მაგრამ სამეცნიერო სამყაროში სენსაცია ეს კი არ იყო. სენსაცია ის იყო, რომ ჯერ კიდევ ყოველგვარ ოფიციალურ მიღწევებამდე „შეუმა“ მას გადასცა თავისი ლაბორატორია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ბიოქიმიის ინსტიტუტში.

— ადამიანს უნდოდა დამკვიდრება. დაცვის შემდეგ მან დაუყოვნებლივ აიღო თავისი ხაზი — რნკ-ას მაკრომოლეკულური სტრუქტურა, საჭირო იყო მისთვის გზის მიცემა. ეს ყველამ რომ გაიგო. ერთი მეცნიერი ქალბატონი, მეტად პატივცემული, ჩემთან მოვიდა: „ბიჭუშკაა! არ ვცნობ მას“. იძულებული გავხდი მეპასუხა: „არის ახალი გამგე, კეთილი ინებეთ მას დაემორჩილოთ, როგორც მე ვემორჩილები“. მე ხომ ჩემს თემას იქ ვაგრძელებდი. განაწყენებული წავიდა, აქამდე ვნანობ ამას.

და მეორე შემთხვევა: შარშან ბელოზერსკიმ წინადადება წამოაყენა, რომ მოსკოვის უნივერსიტეტის ვირუსოლოგიის კათედრაზე, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა 1963 წლიდან, აერჩიათ ახალი გამგე. მეცნიერების ახალგაზრდა დოქტორი ი. გ. ათაბეკოვი. არ იფიქროთ, რომ აკადემიკოსი საქმის გარეშე დარჩა. ჰყავს მოწაფეები, რომლებიც ამუშავებენ მის მიმართულებას, დარჩა მეორე კათედრა — მცენარეთა ბიოქიმიისა, დარჩა კორპუსი „ა“, დაბოლოს იგი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტია. მაგრამ უველა მეცნიერი ასეთი მზადყოფნით, თავისი ნებით როდი შეელევა ასეთ მეტისმეტ დატვირთვასაც კი, რომ გზა დაუთმოს ახალგაზრდებს.

— ჩემი გაფურჩქვნა, — მითხრა მან, — სხვა ეპოქაში ხდებოდა. უველაფერი შეიცვალა: შეხედულებები, მეთოდიკა, აღჭურვილობა. ახალგაზრდობის მიერ წამოწყებულ ზოგიერთ ცდას რა კუთხით მივუდგე, არც კი ვიცი...

— ამის დაწერა, ანდერი ნიკოლოზის ძევ, ალბათ, არ ღირს?

— რატომ? თუ ჩემი ხნისა და მდგომარეობის მეცნიერი დაგიწყებთ საწინააღმდეგოს მტკიცებას, ნუ დაუჯერებთ. ეს ხომ კანონია: ჩვენი მოწაფეები ჩვენზე შორს უნდა წავიდნენ.

მე ასე ჩამოვაყალიბებდი: შეუცვლელნი რომ აღზარდო, საჭიროა, სხვა რამის გარდა, საკუთარი „შეუცვლელობის“ თვითჰიპნოზის დაძლევა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

„მასწავლებელმა მასწავლებელს“

1934 წელს საბჭოთა კავშირმა, მთელ მსოფლიოსთან ერთად, ზეიმით აღნიშნა სპარსული ლიტერატურის დიდი წარმომადგენლის — ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ შექმნის ათასი წლისთავი. საიუბილეო ზეიმში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენმა უნივერსიტეტმაც. გადაწყდა, „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების მეორე ტომის გამოცემა. უნივერსიტეტის გამომცემლობამ არაფერი დაიშურა, რომ წიგნი ზეიმის შესაფერი გამოსულიყო. ტომი სპარსული მხატვრობის სტილით გააფორმა მხატვარმა სოსო გაბაშვილმა, მანვე დახატა ფირდოუსის სურათი.

ქართული „შაჰ-ნამეს“ პირველი წიგნი, გამოცემული 1916 წელს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ იუსტინე აბულაძის რედაქციით, სახელმწიფო მუზეუმის საწყობში გადარჩენილიყო რამდენიმე ათეული ცალი. ისინიც გადმოიტანეს უნივერსიტეტის სტამბაში. ორივე ტომის რამდენიმე ცალი ჩაისვა წითელი ხავერდისა და ატლასის ყდაში და ისე გაიგზავნა მოსკოვში, სადაც დაურიგდათ საიუბილეო კომისიის წევრებსა და უცხოეთიდან ჩამოსულ სტუმრებს.

ერთხელ ივანე ჯავახიშვილთან საუბრისას ლაპარაკი ჩამოვარდა ფირდოუსის იუბილეზე და უნივერსიტეტისაგან გამოცემულ მეორე ტომზე. ბატონმა ივანემ მითხრა: „წარმოიდგინეთ, ყმაწვილო, მე ეს წიგნი არა მაქვს“-ო.

სარედაქციო კოლეგიის თითოეული წევრი, რასაკვირველია, ვალდებული იყო წიგნი მეერთმია ბატონი ივანესათვის, მაგრამ, ეტყობა, საიუბილეო ფაცაფუცში გამორჩათ.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩემი ბიბლიოთეკის ცალი „შაჰ-ნამეს“ მეორე ტომისა ბატონ ივანეს შინ მივართვი და, წარმოიდგინეთ, წარწერით: „საყვარელ ადამიანს და მასწავლებელთა მასწავლებელს ბ-ნ ივანეს, 29, VI, 34. თბილსს“ და ჩემი სახელი და გვარი (ჰოი, ახალგაზრდობავ!)...

ახლა ის წიგნი ინახება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ივანე ჯავახიშვილის კაბინეტში, სადაც დგას მისი სამუშაო მაგიდა, სავარძელი და ინახება მისი ბიბლიოთეკაც.

ამას წინათ გადავფურცლე ის წიგნი და გავოცდი შენიშვნათა და და ჩანაწერ-მინაწერთა სიმრავლისაგან. ივანე ჯავახიშვილს უმთავრესად პროზის ნაწილში შეუტანია შენიშვნები, მრავალი სიტყვისათვის ხაზი გაუსვამს (მაგ., ხვაფთანი მარგისტანი, კმალი მოჰედილი და ა. შ.). ყოველი გვერდი აჭრელებულია მითითებითა და შესწორებით. ბევრი სიტყვისათვის მიუწერია მისი სპარსული თარგმანი წყაროების ჩვენებით. ერთგან ნაკლოვანი ტექსტი თავისი თარგმანით აქვს შევსებული. ერთ ადგილს მიუწერია: „წერილი სპარსულ შაჰ-ნამეში არ არის (გვ. 403). სიტყვიერად დაბარებული გამოდის“. ლექსიკონში ზოგიერთი სიტყვისათვის ხაზი გაუსვამს, ხოლო სადაფის განმარტება — „სადაფი, მარგალიტის ნიჟარა, ანუ მარგალიტის ბუდე“, არ მოსწონებია და მიუწერია: „შეუფერებელი განმარტება“. ერთი სიტყვისათვის კი — ხიშტი, წვეტიანი თოფი — კითხვის ნიშანი დაუწერია.

ერთი სიტყვით, ივანე ჯავახიშვილს მისთვის ჩვეული საოცარი სიზუსტით შეუსწავლია „შაჰ-ნამეს“ მეორე ტომის ტექსტი და მრავალი შენიშვნა გაუკეთებია და შესწორება შეუტანია, ბევრი სიტყვისათვისაც ხაზი გაუსვამს, ალბათ სიტყვათა ისტორიის გათვალისწინების მიზნით.

სოლომონ ხუციშვილი

აუდიტორიაში სიწყნარეა, გამომცდელის პირისპირ სტუდენტი ზის და გაწეული შრომის ანგარიშს აბარებს.
აქ კი, დერეფანში, წინასაგამოცდო მღელვარებაა. უკანასკნელი მომზადება, რთულ საკითხებში მეგობრის დახმარებით გარკვევა, წიგნი და კონსპექტი...
ეს ფოტოც ერთ-ერთ წინასაგამოცდო მომენტს ასახავს.

სპორტი

აქ უყვართ ჭადრაკი

ვაჰრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტზე დიდი პოპულარობით სარგებლობს ჭადრაკი. სწრაფი თამაშის მოყვარულები თავისუფალ დროს ჭადრაკის დაფასთან ატარებენ. აქ ყოველწლიურად ერთხელ ან ორჯერ ეწყობა ტურნირი.

წელს საჭადრაკო ტურნირი მიეძღვნა სსრ კავშირის შექმნის 50-ე წლისთავს. ტურნირში მონაწილეობა მიიღო 9 მოჭადრაკემ. ერთმანეთს ხვდებოდნენ მოჭადრაკეები, რომელთა საკვალიფიკაციო წიგნაკებში ჩაწერილია პირველი, მეორე და მესამე თანრიგი. მათმა უმრავლესობამ კვალიფიკაცია აიმაღლა უნივერსიტეტის საჭადრაკო კლუბში.

ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა დოც. შ. ჩოგოვაძემ, II-III ადგილები გაიყვეს გ. ქობლიანიძემ და გ. ჯოლიამ, მეოთხე ადგილზე გამოვიდა ვ. ბარდაძე.

დ. გახტაძე

ნაირ-ნაირი

თევზი მილით იმოგზაურებს

რის ტრანსპორტირებას არ ახდენენ მილებით (მადანი, ცემენტი, გოგირდი, ბამბა, რძე, ჩაი, ლუდი). **ახლახან გდრ-ში** დაიწყეს გაყვანა **როსტოკ-ბერლინის** მილსადენისა, **რომლითაც** იმოგზაურებს ბალტიის ზღვაში ახალდაჭერილი თევზი. იგი ამ გზას მოანდომებს ხუთ საათს.

აისბერგი — მტვერსასრუტი

ავსტრალიაში ორიგინალური პროექტს განიხილავენ. თუ მისი განხორციელება შეძლეს, მაშინ, როგორც ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, სანაპირო ქალაქები გაიწმინდება ინდუსტრიული კვამლისა და მტვერისაგან.

განზრახული აქვთ ანტარქტიკის წყლებიდან სანაპირო მეჩეჩთან ბუქსირით მიაცურონ დიდი აისბერგი. ყინულოვანმა მთამ უნდა გამოიწვიოს თბილი დამტვერიანებული ჰაერის მუდმივი, გადაადგილება ზღვისაკენ.

ტერმიტები — გეოლოგები

ტერმიტები აგებენ მაღალ და მკვიდრ სახლებს — ეს კარგადაა ცნობილი. ისიც ცნობილია, რომ ამ სახელების ქვეშ უოველთვის ნახულობენ ღრმა და განშტოებულ არხებს, რომლებსაც ეს მწერები თხრიან საშენი მასალის მოსაპოვებლად.

აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში ამ გარემოების გამოყენება ცადეს გეოლოგებმა. საკმარისია, ტერმიტების საცხოვრებელს თავი წააცალო და მისი მინერალოგიური ანალიზი გააკეთო, რომ მაშინვე გახდება ცნობილი ამ ადგილის მიწის პლასტების აგებულება 5 ათას მეტრ სიღრმემდე.

ახლა უკვე არსებობს პოლიმეტალური მადნის მომპოვებელი სამთო საწარმოები, რომლებიც აშენებულია იმ ადგილას, სადაც პირველად უნებურ გეოლოგ-მზვერავებად შრომისმოყვარე ტერმიტებს უმუშავიათ.

ხიშ მილსადენი

მილებულია, რომ მილსადენისათვის უველაზე უკეთესი მასალაა ფოლადი. ნუთუ ეს უცილობელი ფაქტია? კანადაში უკვე 30 წელია მოქმედებს ხის მილსადენი, რომელითაც წუალს ქაჩავენ. ახლახან იგი გაარემონტეს და კვლავ უვავიროდ განაგრძობს მუშაობას. ხის მილებით (უფრო სწორად, ფანერის) ძალიან მოსახერხებელია ტრანსპორტირება უოველგვარი აგრესიული სითხეებისა, რომლებსაც ლითონი მწუობრიდან გამოჰყავთ. დაბოლოს, ფანერის მილსადენის ღირებება ისიც არის, რომ იგი მსუბუქია და, მაშასადამე, მილების გადაზიდვა და ჩაწუობა გაცილებით იაფია.

ყურადღება!

თსუ სტუდენტთა 35-ე სამეცნიერო კონფერენციის თეზისების წარმოდგენის უკანასკნელი ვადა არის ა. წ. 10 თებერვალი.

გთხოვთ, ამ თარიღისათვის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ცენტრალურ საბჭოში წარმოადგინოთ სათანადოდ გაფორმებული და მეცნიერ-ხელმძღვანელთა მიერ ხელმოწერილი თეზისები (თითოეული თეზისი არა უმეტეს 2–3 გვერდისა).

თსუ სამეცნიერო საზოგადოება

რედაქტორი
ზ. ჭვანია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი 1. შეკვ. 101. უე 06069